შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა

პროექტის ხელმძღვანელი: კელენჯერიძე თამუნა

2022/2023სასწ.წელი

საგანმანათლებლო პროექტის რეფლექსია

პროექტის სახელწოდება: ,,ვაზი და საქართველო''

2022/2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ,ჩავატარე პროექტი ,,ვაზი და საქართველო'',რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში აღნიშნული თემის შესახებ ცნობიერების ამაღლება,კვლევა-ძიებისა და პრეზენტაციის უნარის განვითარება, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების ფორმირება და მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო პროცესში.

პროექტის ფარგლებში ,მოსწავლეებმა მშობლების დახმარებით მოიძიეს ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშების შესახებ,მათი დახმარებით დაამზადეს კედლის გაზეთები,წარმოადგინეს ნამუშევრები და პრეზენტაცია გააკეთეს კლასის წინაშე.

პროექტის მონაწილეებს ჩაუტარდათ შეხვედრები და გადაეცათ შესასწავლი მასალა შემდეგი თემატიკით:

- ***საქართველოს მდებარეობა;***
- ***საქართველოს კუთხეები;***
- ***ქართველი მეფეები;***
- ***ვაზის სიმბოლიკა;***
- ***ვაზის ისტორია;***
- ***შემოდგომის დღესასწაულები;***

პროექტის დასკვნითი შეხვედრა ჩავატარეთ ქ.ქუთაისში მდებარე ,,თინას ეთნო მარანში’’სადაც მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით ჩატარდა შემაჯამებელი ვიქტორინა .

პროექტზე მუშაობის პერიოდში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორები.

საერთო ჯამში , პროექტზე მუშაობას ვაფასებ **დამაკმაყოფილებლად.**ყველა აქტივობა გამომდინარეობდა მიზნიდან. მოსწავლეები შემაჯამებელი ვიქტორინის დროს ერთმანეთის აზრს სცემდნენ პატივს.მონაწილეებში გაიზარდა ინფორმირებულობა საქართველოს,როგორც ვაზის სამშობლოს შესახებ,რაც პროექტის მთავარ ამოცანასა და მიზანს წარმოადგენდა.

პროექტის დამატებითი მასალა იხილეთ ბლოგზე:

http://tamunakelenjeridze.blogspot.com/p/blog-page_20.html